# სახალხო გაზეთი

№ 670 ხუთშაბათი, 9 აგვისტო, 1912 წ. № 670

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება მხოლოდ დიდი წერილები და [illegible]. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ. „ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზავნოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს **3 მ. 75 კ.**

**თვეში ღირს — — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ), საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

**1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის დამლევამდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

## მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათლება“-ზე

ჟურნალი გამოდის ყოველთვის შუა რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალი წლიურად ღირს გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. სოფლის მასწავლებელთა და სოფლის სამკითხველოებისთვის 2 მ. 50 კაპ. **რედაქცია უმორჩილესად სთხოვს აგენტებს და ხელის მომწერლებს დაუჩქარონ ჟურნალის დანარჩენი ფულის გამოგზავნას.**

**მისამართი:** Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія, Л. Г. Боцвадзе.

(3.1425.3) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

## აკაკის თხზულების პირველ წიგნის ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

ამ წიგნის პირველ 96 გვერდში (რომელიც სპირიდონ ლოსაბერიძის სტამბაში დაიბეჭდა) პირველი 32 გვ. შეუფერებელი გამოდგა, ამისათვის იძულებული გავხდით ეს გვერდები ხელმეორედ დაგვებეჭდა, რამაც ზოგიერთ ხელის მომწერთ წიგნის მიღება შეუგვიანა. ამ ჟამად ეს გვერდები უკვე ხელახლა დასტამბულია და მალე ყველა ხელის მომწერთ დაეგზავნებათ.

(3.593.3) **გამომცემელი.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| [illegible] | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. |
| | **დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფიდთხოვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი** (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირაღოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირაღოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ხულბკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ. დღე) 12½—1. |
| | **ფიდთხოვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| [illegible] | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| [illegible] | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეზხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.84)

## ახალი კლუბი

(საზაფხულო თეატრი)

**ხუთშაბათს, 9 აგვისტოს,**

ჩვეულებრივად **საგაზაფხულო საღამო**

სხვა და სხვა თამაში, **ცეკვა** და **სინემატოგრაფი.**

დასაწყისი 5 ნახ. საათზე. (1.1392.1)

## საზაფხულო ახალი კლუბი თეატრი.

შაბათს, 11 აგვისტოს, 1912 წ.

## საოჯახო საღამო

გამართულ იქნება პირველი საღამო ქართული მუსიკისა. ყველა სასიმღერო შესრულებულ იქნება ქართულად. დასასრულ **საცეკვაო საღამო.** იქნება შესრულებული ეროვნული ცეკვა—ეროვნული მუსიკით.

ფასი ადგილებისა 1 მ—დან 20 კაპეიკამდე. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს: კაცები—1 მან., მანდილოსნები 50 კ. სტუდენტები და საშუალო სასწავლებლის შეგირდები 25 კ. დაწვრილებით პროგრამაში და აფიშაში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (3.1392.1)

## ვასწავლი „ქართულ სიმღერა გალობას“,

**მიღება და ჩაწერვა ყოველ დღე შემდეგს დროსა და ადგილს.**

ორშაბ., ოთხშ., შაბათობ. საღ 5—7 ს. და კვირ. დღის 2—4 ს. ავჭალ. ქ., № 29. სამშაბათ., ხუთშაბათ., და პარასკეობით საღ. 5—7 ს., ავჭალის მოედანი, № 11. მიიღებიან: მოხელენი, უფრ. კლას. მოწაფენი, ნოქრები, მუშები, კერძო პირნი და სხ,

**ვაარსებ აგრეთვე ქართველ მუშათა გუნდს,**

(12.1435.1) იკითხეთ **მიხეილ კავსაძე.**


## არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

**დუშეთის მაზრის საპოლიციო** სამმართველომ 3 აგვისტოს დაამთავრა შედგენა იმ პირთა სიებისა, ვისაც ნება აქვს დუშეთის მაზრის მიწათმფლობელთა საარჩევნო ყრილობაზე მონაწილეობის მიღებისა, და ეს **სიები** თანახმად მე-18 მუხ. უმაღლესად დამტკიცებულის 3 ივნისს 1907 წ. არჩევნების დებულებისა, კავკასიის გუბერნიათა და ოლქებისათვის, ადგილობრივს უწყებებში გამოქვეყნების მაგიერ **გამოფინა განსახილველად** მაზრის სამმართველოში აგვისტოს.

განხილვა ამ სიებისა და იმ საბუთებისა, რაზედაც ესენი დაფუძნებულია, დაინტერესებულ პირთ შეუძლიანთ ყოველ დღე, კვირა-უქმეებშიაც, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

**ვინც სიაში მოქცეული არ იქნება, ანუ თუ ვისაც არჩევნების დაწყებამდე უფლება დაეკარგება, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს** გამოფენიდან მოკიდებული, **ორი კვირის განმავლობაში** დაინტერესებულ პირთ **შეუძლიანთ განასაჩივრონ** ანუ შეიტანონ განცხადებები სამაზრო არჩევნების საქმეთა კომისიაში სიაში მომხდარს შეცდომებზე და ნაკლულევანებზე.

**სიების** განხილვა რომ ყველასათვის შესაძლებელი იყოს, მათი **პირები** (ხოლო უსაბუთებოდ) **გამოფენილია** ნაწილის ბოქაულების კანცელარიებში—**მცხეთაში, ახალგორში, დუშეთში** და **ფასანაურში** და სოფლის სამმართველოებში—**მუხრანში, ბოკოწინში** (გალავანში) და **ბაზალეთში.**

დუშეთი, 3 აგვ., 1912 წ. დუშეთ. მაზ. უფ. **კაპიტანი ფრენკელი.** (3.1424.3)


## თ. პ. ი. თუმანიშვილს

**გადმოცემული აქვს 300 მან. საუკეთესო ორგინალურ პიესის**

## პრემიისათვის.

## ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს პირობებს პრემიის მისაღებად:

1) პრემიები დანიშნულია ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის სახელობაზე.

2) დანიშნულია ორი პრემია: ა) **200 მ. სამ ან ოთხ მოქმედებიანი კომედია.** ბ) **100 მან. ორ მოქმედებიანი კომედია.**

3) კომედიების თემად აღებული უნდა იყოს ქართული ცხოვრება.

4) უკანასკნელი ვადა პიესების წარდგენისა—**20 აგვისტო 1912 წ.**

5) პიესა უნდა გამოიგზავნოს, ფსევდონიმით ხელმოწერილი, **ქართულ თეატრში ქართ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის სახელობაზე,** იგივე ფსევდონიმი და ნამდვილი გვარი ავტორისა ადრესითურთ უნდა თან ახლდეს გამოგზავნილ პიესას დაბეჭდილ კონვერტში.

6) პრემიად მიღებული პიესები ჩაითვლება ქარ. დრ. საზოგადოების საკუთრებად.

**ქართ. დრ. საზოგ. გამგეობა.** (2.1422.2)

## განცხადება ტფილისის ქალაქის გამგეობისა,

**სასანიტარო ნაწილის სავალდებულო დადგენილებათა** მე-3 მუხლში, რომელიც ტფილისის გუბერნატორმა გაზ. „კავკაზში“ 1909 წ. 25 აპრილს დაიბეჭდა, ნათქვამია: „ამა წესების გამოქვეყნებიდან ორი წლის განმავლობაში, ყველა სახლებში ეზოები უნდა მოჰფინონ ქვით, ცემენტით ან ასფალტით, იმ ადგილების გარდა, რომელიც ბაღისა ან ყვავილების გასაშენებლად აქვთ და აგრეთვე ცარიელი ადგილებისა. ასეთი ცარიელი ადგილები უნდა შემოღობონ ან ფიცრულით ან ქვითკირის გალავნით და მუდამ სუფთად იქონიონ.

რადგანაც ზემო აღნიშნული ვადა უკვე გავიდა, ქალაქის გამგეობა სთხოვს, სახლის პატრონებს, ვისაც ზემოხსენებული მუხლის მოთხოვნილება არ შეუსრულებიათ, გაისარჯნენ, და **1 აგვისტოდან დაწყებული ერთი თვის განმავლობაში შეასრულონ ეს მოთხოვნილებანი;** ამასთანავე ვაფრთხილებთ, რომ ვინც ამ მოთხოვნილების ასრულებას მოერიდება, პასუხისგებაში მიეცემიან.

(3.1410.3)

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 361)

## შპალიერი ძმ. ტარნოპოლთა

**ქარხნისა.**

**ტფილისის განყოფილება.**

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ. № 355.**

**საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.159.38)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ახპიხოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ. პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**მირ•გოვი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს. გარდა კვირ.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს**

**საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ—1365. 18)

## ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღებ. რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—59)

## ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.1)

## ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (0—1334—38)

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაზაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. მიპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“-**

(წლ—1018—49)

## ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიკნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—1 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—28)

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—79)

## ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე.

## ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.173)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—1 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

## ექიმი [illegible]

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (წ. 1347.221)

## ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლ., სვანიშვილისა.

## ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ. 1049—141


## ნარკვევი

ჟურნალ-გაზეთებიდან

„ნოვოე ვრემიას“ ცნობილი პუბლიცისტი მ. მენშიკოვი კვლავ ეხება ეგრედ წოდებულ „ინოროდცების“ საკითხს. მოგეხსენებათ, მენშიკოვი ნაციონალისტია რწმენითაც, ნაციონალისტია პარტიითაც. მაგრამ, თუ მას დაუჯერებთ, ის სულ სხვანაირი ნაციონალისტი ყოფილა.

„მე იმ რუს ნაციონალისტებს არ ვეკუთვნი,—სწერს მენშიკოვი, რომელნიც არა რუსთა ავტონომიას უარჰყოფენ. პირიქით, სერიოზულად რომ დაისვას ეს საკითხი, მე მომხრე ვიქნები იმისი, რომ ავტონომია მიეცეს პოლონეთს, ლიტვას, საქართველოს, სომხეთს, თუ მათ მართლა ჰსურთ ავტონომია“.

მეტის მეტის სიძულვილით მენშიკოვი მზად არის არა რუსებს ავტონომია მისცეს, თუმცა თითონაც არა სჯერა, რომ ასეთი აზრი როდისმე განხორციელდეს. ხოლო, თუ ეს ასეა, მაშ რაღას ჰკარგავს?

მენშიკოვი არა მარტო ავტონომიის მომხრეა, საერთოდ გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგიც კი ყოფილა.

„რუსულ ნაციონალიზმის ნამდვილი მიზანი,—სწერს მენშიკო-

ვი,—არა რუსთა გარუსება კი არ არის (ეს შეუძლებელი და განუხორციელებელი ოცნებაა), არამედ თავის დაცვა. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როდესაც არა რუსებს ჩვენის სხეულიდან გამოვწურავთ, როდესაც თვითოეულ ამ ერთაგანს თავის სამშობლოსკენ გავისტუმრებთ“.

ნუ გაგიკვირდება, მკითხველო! „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“.

## სომხური პრესა

სომხურ ჟურნალ-გაზეთებში ისევ იბეჭდება წერილები განსვენებულ ხახანაშვილის შესახებ. ყოველ კვირეულ ჟურნალ „ჰოვიტის“ მე-30-ე ნომერში, რომელიც ხახანაშვილის დასაფლავების დღეს გამოვიდა, მოთავსებულია სურათი და წერილი. წერილში სხვათა შორის ვკითხულობთ:

„ერთმა მოულოდნელმა სიკვდილმა ხელახლად გლოვაში ჩააგდო ჩვენი მეზობელი ქართველი ხალხი.

მან უდროვოდ დაჰკარგა თავისი ერთი საუკეთესო და დიდ მომავლის პატრონი შვილთაგანი, რომლითაც ყოველთვის სამართლიანად ამაყობდა და თავი მოჰქონდა.

ეს გახლდათ ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი და მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი.

განსვენებულმა თავის ხალხისათვის მრავალი რამ გააკეთა. მის სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობის მრავალსა და მრავალფეროვანს სერიოზულ შრომებს და გამოკვლევებს, ერის ისტორიის, განვითარების, ეროვნულ გათვითცნობიერების და გაღვიძების საქმეში პირველი ადგილი უჭირავს“.

„ჰოვიტის“ რედაქცია თავის თანამწუხარებას უცხადებს მეზობელ ქართველებს უმძიმეს დანაკლისის გამო.

***

გაზეთ „მშაკის“ მე-172-ე ნომერში მოთავსებულია ვრცელი კორესპონდენცია ონიდან აკაკის მოგზაურობის შესახებ. ამ კორესპონდენციაში დაწვრილებითაა აღწერილი, თუ ადგილობრივმა საზოგადოებამ როგორის აღტაცებით მიიღო მცხოვანი მგოსანი.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკი** გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი ჯერ-ჯერობით ტფილისკენ არ წამოვა. მას გადაუწყვეტია, დარჩეს პეტერბურგში და მოუცადოს გლეხთა დროებით ვალდებულების მოსპობის საკითხის განხილვას სახელმწიფო საბჭოში. პეტერბურგიდან ნამესტნიკი მოსკოვს გაემგზავრება სამამულიშვილო ომის დღესასწაულზე დასასწრებლად და შემდეგ, 5 სექტემბერს, კავკასიისაკენ გამოემგზავრება.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** გუშინ ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიურომ სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა სიის შედგენა დაასრულა. რუსთა კურიიდან სიებში ჩატანილ იქმნა 5,033 კაცი. საერთო კურიიდან ჩატანილ იქმნა: პირველ საარჩევნო განყოფილებიდან—3,152 კაცი, მეორიდან—4,386 და მესამიდან—3,499.

✦ **საბავშვო საღამო ნაძალადევში.** 6 აგვისტოს, საღამოს, ნაძალადევის სახალხო თეატრის წინ, ი. მ. სუნდუკიანცმა ნაძალადევის სცენის მოყვარულთა დახმარებით უფასო საბავშვო წარმოდგენა გამართა. წელს ეს საღამო პირველი იყო. მოედანზე დიდძალმა ბავშვობამ მოიყარა თავი და დრო მეტად მხიარულად გაატარა. რამდენიმე ბავშვმა მოხდენილად წაიკითხა ლექსები. უჩვენეს ბავშვებს სინემატოგრაფიც. შესაფერი განმარტება-ახსნა თვით ბ-ნ სუნდუკიანცს ჰქონდა ნაკისრი. ასეთ საღამოს გამართვას ბ-ნი სუნდუკიანცი კიდევ აპირობს.

✦ **დამპალ ციებასთან ბრძოლა.** დამპალ ციებასთან მებრძოლმა კავკასიის კომიტეტმა ორი ექსპედიცია გაჰგზავნა ტფ. მაზრის სოფლებს ტაბახმელასა(?) ტატიანაშენსა და ელისაბედშენში იმის გამოსარკვევად, რამდენად შესაძლებელია იქ დამპალ ციებასთან ბრძოლა მხოლოდ ფერშლების შემწეობით, ექიმთა დაუხმარებლად, რომელნიც დასათვალიერებლად იქ მხოლოდ დრო-გამოშვებით მივლენ.

— 20 აგვისტოდან დამპალ ციებასთან მებრძოლი კომიტეტი კავკასიის სააბრეშუმო სადგურის შენობაში სამის კვირით უფასო კურსებს მოაწყობს, სადაც ექიმები პრაქტიკულად შეისწავლიან დამპალ ციებასთან ბრძოლას.

✦ **ყასაბთა და მეპურეთა თავგასულობა.** აგერ სამი-ოთხი დღეა, გუბერნატორმა ხორცისა და პურის ახალი ნიხრი დაამტკიცა, მაგრამ ყასაბნი და მეპურენი თავისას მაინც არ იშლიან და ნიხრს არ ემორჩილებიან. გუშინა და გუშინ წინ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა ნიხრის დარღვევისათვის, მრავალი ოქმები შეუდგინეს მეპურეებსა და ყასბებს.

✦ **იეზიდების ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა.** პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა პროფესორი-არქეოლოგი მ. ი. სმირნოვი, რომელიც აქედან ერევნის გუბერნიაში გაემგზავრა. ბ-ნი სმირნოვი გამოიკვლევს ყოფა-ცხოვრებას იეზიდებისას, რომელნიც ალაგიოზის მთის მიდამოებში მოსახლეობენ.

✦ **მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ** წელს ახმეტის მონასტერში საზოგადოების წევრი სუმბათ ტერ-ავეტისიანი გაჰგზავნა, რომელსაც წარწერები გამოუკვლევია დ დიდ ძალი საყურადღებო მასალა შეუკრებია ბაგრატიდებისა და ზაქარიდების ცხოვრებისა და თამარისა გიორგის მეფობის დროის შესახებ.

✦ პოლიცმეისტერი შენიშვნას აძლევს მეხუთე უბნის ბოქაულს ჩიხლაძეს და მეშვიდისას—დავიდოვს, რომელთაც ღონისძიებანი არ მიუღიათ მტკვრის ნაპირების გასასუფთავებლად.

✦ **ამერიკულ ვაზის სანერგის** შესანახად მომავალ წელს მთავრობისაგან ნათხოვნია 66,368 მან.

✦ **ნ. ფ. რუდოლფი,** კავკასიის სამასწავლო ოლქის მზრუნველი, ტფილისში დაბრუნდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, სადაც სამსახურის საქმეთა გამო იყო წასული.

✦ **პროფ. ა. ხახანაშვილის გარდაცვალების გამო.** გუშინდელს ნომერში ჩამოთვლილი გვყავნდნენ ის პირნი, რომელთაც სიტყვები წარმოსთქვეს განსვენებულ ა. ს. ხახანაშვილის დასაფლავებაზე. სიაში შეცდომით გამოტოვებულია დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი ი. მირიანაშვილი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის საფლავზე.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ხარფუხის კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებაში.** 5 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ხარფუხის საქალაქო სამკურნალოს სადგომში, ი. გ. სულაბერიძის თავმჯდომარეობით ხარფუხის კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა პირველი კრება მოხდა. ეს საზოგადოება ახლად არსდება ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვისა, ვაჭართა მამასახლისის ა. ნ. მილოვისა, ხმოსნის ი. გ. სულაბერიძისა და სხვათა თაოსნობით. კრების დაწყებისათანავე თავმჯდომარემ ი. გ. სულაბერიძემ აღნიშნა ღვაწლი უდროოდ გარდაცვალებულ ა. ს. ხახანაშვილისა და დამსწრეთ წინადადება მისცა, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის, რაც შესრულებულ იქმნა. ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა საზოგადოების წესდება, რომელიც ახლახან გუბერნატორმა დაამტკიცა. დამსწრეთა შორის, რომელთა რიცხვი 60 კაცამდე იყო, გამოითქვა სურვილი იმისა, რომ საზოგადოება ახლავ შეუდგეს საკუთარ აუდიტორიის შეძენას. დასასრულ თანამდებობის კაცთა არჩევნები მოხდა. გამგეობის წევრებად აირჩიეს: ი. გ. სულაბერიძე, ი. გ. ბასტიანოვი, გ. შათიროვი, ქ-ნი ნოდარეიშვილი, ბ-ნი პეპანოვი, ჰასანზადე და ბ-ნი ნეგეფტოვი. მათ კანდიდატებად აირჩიეს ქ-ნნი: ნ. გ. გუმბიევი, რიანდოვი და ვ. ზ. ავალიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: პ. გ. ბასტიანოვი, ა. ვ. მილოვი და ტ. ნოდარეიშვილი. მათ კანდიდატებად აირჩიეს: ბ-ნი იაშვილი და არ. შათიროვი.

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება დღეს მოხდება.

✦ **საბეითალო სიქმე ამიერ-კავკასიაში.** მოკლე ხანში ტფილისში მოწვეულ იქმნება ამიერ-კავკასიის საგუბერნიო და საოლქო საბეითალო ინსპექტორების კრება, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მომავალ მოქმედების გეგმა.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: ხარფუხში, მეორე სეიდაბათის ქუჩაზე № 8, სცხოვრობს **ქვრივი დედაბერი ტასია დავითაშვილი,** ნერვებ მოშლილი ქალიშვილით და სამი პაწია შვილებით. ესენი ადამიანებს აღარა ჰგვანან, თითქოს აჩრდილები იყვნენ. სიმშილის გამო უმეტესს ნაწილს ძილში ატარებენ. უნდა ნახოს კაცმა, რომ დარწმუნდეს მათ გაჭირვებულ მდგომარეობაში. ხშირად 4 და ხან 5 დღეში ერთხელ უხდებათ ცარიელი პურის ჭამა. მათ ირგვლივ ღარიბი მეზობლები სცხოვრობენ და ვერავითარ არსებით დახმარებას ვერ უწევენ. ვთხოვთ ქველ-მოქმედთ, ნუ დაიშურებენ თავის წვლილს და რამდენიმე დღით მაინც იხსნან სიმშილით სიკვდილისაგან. ყოველი კაპეიკი დიდის მადლობით იქნება მიღებული.

### ქუთაისი.

✦ ქალაქის საავადმყოფოში ამ ჟამად 15 ავადმყოფია.

✦ თავ. ვლადიმერ მიქელაძემ პეტერბურგიდან დეპეშით აცნობა გუბერნიის მარშალს თავ. ფ. მიქელაძეს სათათბიროს მომავალ არჩევნებში სურვილი მაქვს ჩემი კანდიდატურის წამოყენებისაო.

✦ როგორც გავიგეთ სოხუმის, ბათომის და ყარსის ოლქებიდან სათათბიროს დეპუტატად ასახელებენ, ერთი მხარე, ნიკო თავდგირიძეს და მეორე კი კ. ჯაფარიძეს. თავ. ალექსანდრე შერვაშიძე ცდილობს ვინმე აჭარელი ბეგის კანდიდატურის წამოყენებასო.

✦ ზუგდიდის მაზრის მარშლად ნამყოფის თავ. ვარადებულ აფაქიძეს საქმეს ტფილისის სამოსამართლო პალატა 11 სექტემბერს გაარჩევს. აფაქიძეს სამსახურის დროს სხვა და სხვა ბოროტმოქმედებათა ჩადენა ბრალდება. სენაკის მაზრის მარშლად ნამყოფის თავ. ნ. დადიანის საქმეს იგივე პალატა 5 სექტემბერს გაარჩევს.

✦ რამდენიმე პირს განუზრახავთ წიგნად გამოსცენ აკაკის მოგზაურობის სრული ამბავი რაჭა-ლეჩხუმში. წიგნში მოთავსებული იქნება სიტყვები, ლექსები და სურათები.

✦ კავკავის ქართულ სკოლაში საჭიროა მასწავლებელი. თვეში ჯამაგირი 40 მან. ექნება, ბინა, განათება, გათბობა და მოსამსახურე; თხოვნა უნდა გაიგზავნოს ამ მისამართით: კავკავი, ქ. შ. წ. კ. გ. საზ. განყ. გამგეობას. თხოვნაში საჭიროა აინიშნოს, რა დამატებითი საგნის სწავლება შეუძლიან სკოლაში (გალობა, ხატვა).

✦ წვრილი კრედიტის საქმეების უმთავრესმა გამგეობამ გააუქმა ქუთაისში არსებული ინსპექცია და ინსპექტორს წინადადება მისცეს თავისი თანაშემწით კვლავ ბათომის სახელმწიფო ბანკთან იმსახურონ. ასეთი განკარგულების გამო წვრილი კრედიტის დაწესებულებებმა თავისი მიწერ-მოწერა ბათომის სახელმწიფო ბანკის სახელზე უნდა გაგზავნონ და არა ქუთაისში, როგორც ეს დღემდი იყო.

✦ ფოთის ქალაქის თვითმართველობა სთხოვს ქუთაისისას შეატყობინოს, რა ნიხრია ქუთაისში ამ ჟამათ პურსა და ხორცზე.

✦ ახალგაზდა მხატვარი კ. ქავთარაძე 6 აგვისტოს ჭიათურაში იყო, სადაც მას გადუღია უფრო საყურადღებო ადგილების სურათები, ბ. ქავთარაძე ხელმეორედ აპირობს რაჭა-ლეჩხუმისაკენ გამგზავრებას, რადგან ბევრი დარჩა გადაუღებელი ამას წინათ მოგზაურობის დროს.

✦ ივლისის განმავლობაში ჭიათურიდან 8,435,200 ფუთი შავი ქვა გაუზიდავთ.

✦ ილექტრო-[illegible] ზირის პატრონს განუზრახავს პროგრამა [illegible] შინაარსი ქართულადაც დასტამბოს. („კოლხ.“).

## ჟურნალისტის დღიური.

76.

**რას უნდა მოხმარდეს ხახანაშვილის მიერ ნაანდერძევი ფული?**

როგორც კიდევ აღვნიშნეთ, განსვენებულმა ალ. ხახანაშვილმა ნაანდერძევი ქონება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სრულს განკარგულებაში გადასცა, წინასწარ თვითონვე არ განსაზღვრა მისი დანიშნულება. ეს გარემოება საშუალებას აძლევს ქართველ საზოგადოებას თვითონვე ამოირჩიოს ის საქმე, რომელსაც ნაანდერძევი ქონება უნდა მოჰხმარდეს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ბევრნაირი მოთხოვნილება აქვს, უფრო მეტი მოთხოვნილება აქვს მთლად ქართველ საზოგადოებას. გამოცდილებით ვიცით, რომ თვითოეულს ქართველს თავისი საკუთარი პროექტი ექნება დამზადებული. გამოცდილებითვე ვიცით, რომ ძალიან ცოტა მათგანი გაუწევს ანგარიშს იმას, თუ უპირველესად ყოვლისა რომელი მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. რომ ჩვენი მოლოდინი ადვილად შეიძლება განხორციელდეს, ეს, სხვათა შორის, „ზაკავკაზიე“-ს უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ მეთაურ წერილიდანაცა სჩანს. მეთაურის ავტორი ურჩევს წერა-კითხვის საზოგადოებას ხახანაშვილის მიერ ნაანდერძევ ფულით დანიშნოს სტიპენდიები მეცნიერთა აღსაზრდელად. ძალიან კარგი აზრია, მაგრამ მეთაურის ავტორს დაჰვიწყებია, რომ ასეთი განაწილება წინაამდეგი იქნებოდა, ჯერ ერთი, თვით შემომწირველის სურვილისა და მეორეც, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირდაპირ დანიშნულებისა. განსვენებულ ხახანაშვილს რომ მეცნიერების აღსაზრდელად დაეტოვებინა თავისი ქონება, მაშინ თავისუფლად შეეძლო ფული რომელიმე უნივერსიტეტისთვის ეანდერძნა განსაკუთრებით ამ მიზნით, ან თვით წერა-კითხვის საზოგადოებისთვის. მაგრამ მან უპირობოთ დაუტოვა საზოგადოებას ფული, ალბად იმ მოსაზრე-

## გარეული იხვი

**ჰენრიკ იბსენისა.**

დრამა ხუთ მოქმედებად.

(გაგრძელება. *)

**ჰიალმ.** როგორცა ჰხედავ ეს სახელოსნოა.

**გინა.** ეს უფრო ფართო ოთახია, ამიტომ ჩვენ მომეტებულად აქა ვართ ხოლმე.

**ჰიალმ.** უწინ უფრო კარგი სახლი გვქონდა, მაგრამ აქ იმითი სჯობიან, რომ მშვენიერი მოჩარდახებული ალაგი აქვს.

**გინა.** ამის გარდა, დერეფნის იქით მხარეს არის კიდევ ერთი ოთახი, რომელსაც ვაქირავებთ.

**გრეგ.** (ჰიალმარს). ჰო-ო! მაშ მდგმურიცა გყავს?

**ჰიალმ.** ჯერ არა. ხომ იცი, მაგისთანა რამ აგრე ადვილად არა კეთდება, ცოტაოდენი გარჯაც უნდა (ედვიგს). ლუდის შესახებ როგორ იყოს, ედვიგ? (ედვიგი თავს უქნევს და სამზარეულოში მიდის).

**გრეგ.** შენი ქალია?

**ჰიალმ.** ჰო, ედვიგი.

**გრეგ.** მარტო ერთი ქალი გყავს?

**ჰიალმ.** ჰო, ეგ არის ჩვენი უდიდესი სიხარული, გრეგერს, და (ხმას უდაბლებს) ჩვენი უდიდესი მწუხარებაც.

**გრეგ.** როგორ?

**ჰიალმ.** საქმე იმაშია, რომ მაგას ამ მოკლე ხანში სიბრმავე მოელის.

**გრეგ.** მართლა?

**ჰიამლ.** ჯერ მხოლოდ მაგისი პირველი ნიშნები აქვს, მაგრამ ექიმმა გამოგვიცხადა, რომ ეგ აუცილებელი ბოლოაო.

**გრეგ.** საძაგელი უბედურობა! საიდან დაემართა?

**ჰიალ.** ალბად მემკვიდრეობითია.

**გრეგ.** (თავზარდაცემით) მემკვიდრეობითი?!

**გინა.** ეკდალის დედასაც სუსტი თვალები ჰქონია.

**ჰიალ.** ჰო, მამაჩემი ეგრე ამბობს, მე კი არ მახსოვს.

**გრეგ.** საბრალო ბავშვი, თითონ როგორ უცქერის ამას?

**ჰიალ.** ჩვენ ეგ ჯერ ვერ გაგვიმჟღავნებია იმისთვის; იმან ეგ არ იცის, და ყოველთვის მხიარული და უდარდელია; ჩიტივით ნაზად ჭიკჭიკებს და ნელ-ნელა ეხვევა საუკუნო წყვდიადში. (დაღალულად). რომ იცოდე, ყველა ეს როგორ გულს მიკლავს, გრეგერს?!. (ედვიგს შემოაქვს ბოთლი ლუდით და ჭიქები და სდგამს მაგიდაზე. ჰიალმარი თავზე ხელს უსვამს). გმადლობ, გმადლობ ედვიგ. (ედვიგი მოეხვევა და ყურში უჩურჩულებს) აბა, ეხლა არ გვინდა ბუტერბროდები. (ცოტა ხნის შემდეგ). თუმცა იქნება გრეგერსს უნდა.

**გრეგ.** არა, გმადლობთ! არ მინდა.

**ჰიალ.** (ისევ დაღონებული კილოთი) ყოველივე შემთხვევისთვის მაინც მოიტა. თუ მოჭრილ პურის ყუასაც იპოვი, ძალიან მადლობელი დაგრჩები. მხოლოდ კარაქი ცოტა ბლომად წაუსვი. (ედვიგი კმაყოფილებით თავს უქნევს და მიდის სამზარეულოში).

**გრეგ.** (თვალს გააყოლებს) საერთო შეხედულობა კი საღი აქვს.

**გინა.** ჰო, მადლობა ღმერთს, მხედველობის გარდა, სხვაფრივ არაუშავსრა.

**გრეგ.** თავის დროზედ თქვენ დაემგზავსებათ ძალიან, ქ-ნო ეკდალ. რამდენი ხნისაა.

**გინა.** სრული თოთხმეტი წლისა. ზეგ მაგის დაბადების დღეა.

**გრეგ.** ჰო-ო! ხნის შესაფერად ძალიან მაღალი ტანი აქვს.

**გინა.** ჰო, წელს უცბად შეჰყარა ტანი.

**გრეგ.** მოზარდ თაობაზედ უკეთესად ამჩნევს ადამიანი თავის სიბერეს. დიდი ხანია ჯვარი დაიწერეთ?

**გინა.** რაც ჯვარი დავიწერეთ... აი უკვე... და აი უკვე სრული თხუთმეტი წელიწადია.

**გრეგ.** მართლა? ვითომ მაგოდენა დრო გავიდა?

**გინა.** (გულის ყურს გაარკეცებს) დიაღ.

**ჰიალ.** ჰო, რასაკვირველია. რამდენიმე თვის შემდეგ თხუთმეტი წელი შესრულდება. (სთვლის). ეჭვს გარეშეა, გრეგერს, ეს წლები მთაში შენ ძალიან გრძლად გეჩვენებოდნენ.

**გრეგ.** ჰო, სანამ წელნი ვიდოდნენ, ეხლა კი... ეხლა არცკი ვიცი სად წავიდნენ და როგორ გაიპარნენ.

**მოხუცი ეკდ.** (გამოდის თავისს ოთახიდგან უჩიბუხოთ, ლეიტენანტის ძველი ქუდი ხურავს. მთვრალია, ცოტათი ბარბაცებს.) აი ჰიალმარ, ეხლა შეიძლება დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ... ჰმ... ეს ვინ არის?

**ჰიალმ.** (მიუახლოვდება) სტუმარია, მამავ. არ ყიცი, გახსოვს თუ არა, გრეგერს ვერლე?

**ეკდ.** (უცქერის გრეგერს, რომელიც წამოდგა ფეხზე) ვერლე? შვილი? რა უნდა მაგას ჩემგან?

**ჰიალმ.** არაფერი, ჩემთან მოვიდა.

**ეკდ.** ა, მაშ შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

**ჰიალმ.** რასაკვირველია, არაფერი.

**ეკდ.** (ხელებს იქნევს). საქმე მაგაში არ არის! მე არაფრისაც არ მეშინიან, მაგრამ...

**გრეგ.** (მიდის მასთან). ნება მიბოძეთ, ბ-ნო ლეიტენანტო ეკდალ, სალამი გადმოგცეთ იმ ადგილებიდან, სადაც თქვენ ოდესღაც ნადირობდით.

**ეკდ.** ადგილებიდან, სადაც მე ვნადირობდი?

**გრეგ.** დიაღ, მთებში; ქარხნის გარემო მიდამოებიდან.

**ეკდ.** ა! მთებში! ოდესღაც მე მათ კარგად ვიცნობდი.

**გრეგ.** დიაღ, თქვენ გატაცებით გიყვარდათ ნადირობა.

**ეკდ.** ჰო, შეიძლება... თქვენ ჩემ ფორმას უცქერით? მე არავის არა ვთხოვ ნებართვას, ვატარო ეს აქ სახლში, ქუჩაში ამითი არ დავდივარ, მაგრამ აქ... (შემოაქვს ედვიგს ბუტერბროდები).

**ჰიალმ.** მოდი, მამავ, შენც ახლო მოიდგი სკამი, თითო ჭიქა ლუდი დავლიოთ. აბა, გრეგერს. (ეკდალი ტორტმანით მიდის და ჯდება გრძელ სავარძელზედ, გრეგერსი სკამზედ იმის ახლო, მეორე მხარეს ჰიალმარი; გინა მაგიდის შორიახლოს და ჰკერავს. ედვიგი მამასთანა სდგას).

**გრეგერ.** გახსოვთ, ბ-ნო ლეიტენანტო ეკდალ, მე და ჰიალმარი საზაფხულოდ და საშობაოდ რომ მოვდიოდით ხოლმე თქვენთან მთებში სტუმრად?

**ეკდ.** განა თქვენ მოდიოდით ხოლმე? არა, არ მახსოვს, არაფერი არ მახსოვს. მაგრამ შემიძლიან დავიკვეხო, რომ გულადი მონადირე ვიყავი. მარტო დათვი ცხრა მომიკლავს.

**გრეგერ.** (უცქერის) ეხლა აღარა ნადირობთ?

**ეკდ.** არა, მაგას ნუ იტყვი, ჩემო მეგობარო. ხანდისხან ეხლაცა ვნადირობთ... რასაკვირველია, ისე აღარა, იმიტომ რომ ტყე... ტყე, ჰხედავ ახლა, ტყე... (სვამს) მთებში ტყე ლამაზია?

**გრეგ.** ყოველ შემთხვევაში არა ისე, როგორა თქვენ დროს, ბევრი გაჰკაფეს.

**ეკდ.** გაჰკაფეს? (ჩუმად, შეშინებული) ეს საშიშია, ეს ისე არ ჩაივლის; ტყე ყოველთვის შურსა ძიობს ხოლმე.

**ჰიალმ.** (გაუვსებს ჭიქას) აბა, მამა, ერთიც!

**გრეგერ.** როგორა სძლებთ ახლა სუფთა ჰაერს დაჩვეული ამ სულის შემხუთველ ქალაქში, ოთხ კედელს შუა.

**ეკდ.** (იღიმება და შეხედავს ჰიალმარს) არა, აქ არც ისე ცუდია...

**გრეგერ.** მართალია, მაგრამ ყველაფერი, რასაც თქვენ შეეჩვიეთ: სუფთა ჰაერი, თავისუფალი ცხოვრება ტყეში და მთა ნადირითა და ფრინველებით...

**ეკდ.** ვაჩვენოთ, ჰიალმარ?

**ჰიალ.** (სწრაფად, ცოტა შემკრთალი) არა, არა, მამავ, დღეს არა.

**გრეგ.** რა უნდა მაჩვენოს?

**ჰიალ.** ისე... არაფერი... კვლავ როდისმე...

**გრეგ.** (განაგრძობს, მოხუცისკენ). იცით, რას ვფიქრობ, ბ-ნო ლეიტენანტო ეკდალ? წავიდეთ ერთად მთებში, ქარხანასთან, იქ ვიცხოვროთ... მე ჩქარა დავბრუნდი. გადასაწერი თქვენთვის იქაც იშოვება, აქ თქვენ ვერაფერი ვერ გახარებთ, ვერც...

**ეკდ.** (უცქერის გაკვირვებით) იქ მე არაფერი არ...

**გრეგ.** რასაკვირველია, აქ ჰიალმარი გყავთ, მაგრამ მაგას თავისი ოჯახი აქვს. თქვენ ისეთი ადამიანი ხართ, რომელსაც მუდამ გიყვართ თავისუფლება, ნადირობა და სასიამოვნო ტკბილი ცხოვრება.

**ეკდ.** (მაგიდას ხელს დაჰკრავს) არა, ჰიალმარ, ეხლა კი უთუოდ უნდა ვაჩვენოთ.

**ჰიალ.** აბა, განა ღირს ეხლა, მამავ? დაბნელდა კიდეც.

**ეკდ.** სულელობ, მთვარე ამოსულია. (ადგება). ეხლა კი ამან უნდა უთუოდ ნახოს. გამატარე. წამო, მიშველე, ჰიალმარ.

**ედვ.** წადი, მამა!

**ჰიალ.** ჰო, მივდივარ, მივდივარ!

**გრეგ.** რა ამბავია?

**გინა.** ნუ გგონიათ, დიდად შესანიშნავი რამე იყოს.

(ეკდალი და ჰიალმარი უკანა კედლის კარებისკენ გასწევენ. ედვიგი მოხუცსა შველის. გრეგერსი დივანთანა სდგას. გინა ისევ ისე ზის და ჰკერავს. ღია კარებიდან მოსჩანს დიდი, გრძელი წამოჩარდახებული ალაგი, რამდენიმე მილით. ფანჯრიდან მთვარის შუქი შემოდის. დანარჩენი ნაწილი ჩრდილშია).

**ეკდ.** (გრეგერსს) ცოტა ახლო მოსვლა მოგიხდებათ.

**გრეგ.** (მიუახლოვდება) აბა, რა არის!

**ეკდ.** აი, შეხედეთ... ჰმ...

**ჰიალმ.** (ცოტა დარცხვენით) ეს, იცით ახლა, აქ მამა...

**გრეგ.** (შეიხედავს) ქათმები გყოლიათ, ბ-ნო ლეიტენანტო ეკდალ?

**ეკდ.** რასაკვირველია, ქათმებიც არიან. ეხლა იმათ უკვე დაიბუდეს. აბა დღე ნახეთ!

**ედვ.** ჩვენა გვყავს კიდევ...

**ეკდ.** ტსს... ჩუმად.

**გრეგ.** მტრედებიცაა?

**ეკდ.** დიახ, აქ გასაკვირი არაფერია, რომ მტრედებიც არიან. იმათ ბუდეები სულ მაღლა სახურავის თავში აქვთ... მტრედებს, იცით, ყოველთვის მაღლა უყვართ ყოფნა.

**ჰიალმ.** ჩვენ ჩვეულებრივი მტრედები არა გვყვანან.

**ეკდ.** ჩვეულებრივი! არა, ვერ მოგართვით. ჩვენა გვყავს ტურმანი, ერთი წყვილი ყიფიანი... თქვენ, მხოლოდ მიუახლოვდით. ჰხედავთ, აი იქ ხის ყუთს, კედელთან?

**გრეგ.** ვხედავ, მაგრამ არ მესმის, რა დანიშნულება აქვს.

**ეკდალი.** იმაში ბაჭიები არიან, ჩემო კარგო!

**გრეგ.** მაშ თქვენ ბაჭიებიც გყავთ?

**ეკდალი.** გვყავს მაშ! წარმოიდგინეთ, ბაჭიებიცა გვყავს! გაიგე, ჰიალმარ, გვეკითხება, ბაჭიებიცა გყავთო? ჰმ... აბა, ეხლა კი სულ დიდი და უმთავრესი მოდის... ეხლა იმისი ჯერია. ჩამოეცალე, ედვიგ. თქვენ კი ცოტა აქედ მობძანდით... აი ეგრე... უცქირეთ აი იქ... ხედავთ, თივიან კალათას?

**გრეგ.** ვხედავ... კალათაში რაღასაც უბუდია.

**ეკდალი.** ჰმ... რაღასაც...

**გრეგ.** მგონი, იხვი უნდა იყოს.

**ეკდ.** დიაღ, იხვია.

**ჰიალმ.** განა უბრალო იხვია.

**ეკდალი.** ტსს..

**გრეგ.** ყოველ შემთხვევაში არც ოსმალურია...

**ეკდალი.** არა, ბატონო ვერლე, ეგ ოსმალური კი არა, გარეული იხვია!

**გრეგ.** მართლა, გარეული იხვია?

*) იხ. „სახ გაზ“ № 669.

ბით, რომ მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული საზოგადოების პირდაპირი მიზანი და უნდოდა, ფულიც ამ მიზნის განხორციელებას მოხმარებოდა. ჩვენ ასე გვესმის ხახანაშვილის ანდერძის აზრი და არა გვგონია სხვანაირად მისი გაგება შეიძლებოდეს.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირდაპირი დანიშნულება ხომ ყველასთვის ცხადი უნდა იყოს: იგია სახალხო განათლება. ამიტომ ხახანაშვილის მიერ ნაანდერძევი ფულიც უსათუოდ უნდა მოხმარდეს სახალხო განათლებას, ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობით. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას არც ერთი სკოლა არა აქვს ისეთი, რომელიც თანამედროვე პედაგოგიის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. ერთი ან სულ ბევრი ორი სამაგალითო სკოლის დაარსება საუკეთესო და ღირსეული პატივისცემა იქნებოდა განსვენებული ხახანაშვილის სახელის უკვდავსაყოფელად. რომ ეს ასეა, თვით ანდერძიდანაცა სჩანს. თავისი სახლი გორში განსვენებულმა უანდერძა ქალაქს უფასო ქართულ სახალხო სკოლის დასაარსებლად. აქედანაც ნათლადა სჩანს, საითკენ იხრებოდა განსვენებულის სიმპატია. ჩვენც ვალდებულნი ვართ ამ გარემოებას ანგარიში გაუწიოთ, ხახანაშვილის მიერ ნაანდერძევი ფული სახალხო განათლებას მოვახმაროთ და ამით დავაკმაყოფილოთ, ერთის მხრით, თვით განსვენებულის სურვილი და, მეორეს მხრით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირდაპირი მიზანი. **შინაური.**

# ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო

**ს. ბრეთი.** 6 აგვისტოს გადაიხადეს ხახანაშვილის გარდაცვალების გამო წირვა და პანაშვიდი. ადგილობრივმა მღვდელმა მოკლე სიტყვით გააცნო ხახანაშვილის პიროვნება პანაშვიდზე დამსწრეთ.

**საჩხერე.** კვირას, 29 ივლისს, ჯრუჭის წმ. გიორგის მონასტრის ძმათა მიერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი, ახლად გარდაცვალებულ ძვირფასი მამულიშვილის პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად.

**სართიჭალა.** განსვენებულ პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად სოფ. ხიშმის საზოგადოებამ პანაშვიდი გადაიხადა.

**სამძიმრის დეპეშები.**

რადგანაც აუარებელი სამძიმრის დეპეშები და წერილები მოგვდის პროფესორ ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო, ყოვლად მოუხერხებელია ყველას მოთავსება გაზეთში. ამისათვის სამძიმრის ბარათებს და დეპეშებს გადავცემთ წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას. აქ კი მოგვყავს მოკლე რამ მიღებულ დეპეშებისა:

**ჟელეზნოვოდსკი**—ივანე ლვამრაძისა და სხვანი.

**წალვერი**—ევსევი ახვლედიანი და სხვანი.

**სადმელი**—პლატონ წულუკიძე.

**გურჯაანი**—გურჯაანის საზოგადოება.

**ქუთაისი**—ხოჯევანოვის პროგიმნაზიისა.

**სიღნაღი** — ნინო ანდრონიკაშვილისა და სხვანი.

**ოდესა.** ჯუღელი და სხვანი.

**ქარელი.** ანასტასია დიასამიძე და სხვანი.

**განჯა.** ნინო სოლომონის ასული ესტატე მირიანაშვილი და სხვანი.

**ჭიათურა.** ექიმები ჯაფარიძე, მუხაძე და ქვარიანი.

**ბათომი.** ბათომის ქართველი საზოგადოება.

**ადესა.** ადესელი ქართველობა.

**საყოჩავი.** მიქელაძე, მგელაძე.

**ტფილისი.** ტფილისში მყოფი რაჭველები.

**მანგლისი.** მანგლისში მყოფი ქართველობა.

**აჯიქაბული.** ლვინიაშვილი და სხვანი.

**ხონი.** დეკანოზი გორდეზიანი.

**სურამი.** ოზურგეთის ახალგაზდობის მონდობილობით გერმანე გოგიტიძე.

**ხაშური.** ხაშურის საზოგადოება.

**ლანჩხუთი.** ლანჩხუთელნი.

**ნახიჩევანი.** გიორგი გამყრელიძე.

**ნაოლაღევი.** ილია ჩიქოვანისაგან.

**თიანეთი.** თიანეთის საზოგადოება.

**ბელაგორი.** ჩარგოეთის საზოგადოება.

**ქუთაისი.** მოსკოვის ქართველთა სათვისტომო მწუხარებით გლოვობს ალექსანდრე სოლომონის ძის უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც იყო მასწავლებელი, მეგობარი, ქართველ სტუდენტობისთვის მზრუნველი და საჭიროების დროს დამხმარე; იგი იყო მათი ხელმძღვანელი სამშობლო ლიტერატურის შესწავლის დროს. სათვისტომო მის პიროვნებას იგლოვს, დანაკლისს იმ სამეცნიერო ძალისას, რომელიც ეგოდენის გულმოდგინეობით ემსახურებოდა სამწერლო ასპარეზს და რომელმაც თავისი ძალ-ღონე სამშობლო მწერლობის კვლევა-ძიებასა და აყვავებას შეალია.

სათვისტომოს გამგეობის სახელით **გრიგორი კუჭაიძე.**

# ილიას საღამო თელავში

რაც დრო და ხანი გადის, იმდენი მეტის ყურადღებით, იმდენი მეტის თანაგრძნობით, იმდენი მეტი სიმპატიით ეპყრობა ჩვენი საზოგადოება დიდებულ ილიას ხსოვნას, რაიც გამოიხატება მის პატივსაცემად გამართულ საღამოზე დასწრებით. ვგონებ შორს აღარ არის ის დრო, როცა ეს დღე ეროვნულ დღესასწაულად გარდაიქცევა და მაშინ ქართველ საზოგადოებას ვეღარ დავწამებთ თავის წარსულის დაფასების გულცივობას და ღირსეულ მამულიშვილის ღვაწლის დავიწყებას.

ეს ასეა და რომ საზოგადოება ასე ხალისით მიდის ამ საღამოზე, თვით მისი შინაარსიც უნდა შეფასებული იყოს მოლოდინთან და შეხამებული ილიას სახელთან. ამას კი ჯეროვანი მომზადება, საკმაო შრომა და მუშაობა უნდა, მაგრამ ამ მხრივაც უზრუნველყოფილია ხოლმე ეს საღამო.

როგორც სხვა უიმისოდ, წელსაც, ეს საღამო გამართა წ. კ. საზ. თელავის განყოფილებამ მხოლოდ მისი მოწყობა კი იკისრა თავადის ასულმა ქეთევან რუსიშვილისამ, რომლის შრომამ მოსალოდნელი ნაყოფიც გამოიღო.

სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ ყველა თავის წმინდა მოვალეობად ჰრაცხდა, რითაც შეეძლო ხელი შეეწყო ამ საღამოსთვის. მგალობელთა გუნდი ბ-ნთ ი. გ. მონადირიშვილის და ნ. ი. ჭიკაძის ხელმძღვანელობით შეემზადა საკონცერტო განყოფილებისათვის; სცენის მოყვარეთ ი. ე. ვახვახიშვილის რეჟისორობით მოამზადეს პიესა, ცოცხალი სურათები დადგა მხატვარმა თავ. სიდამონოვ-ერისთავმა, მხოლოდ ახალგაზრდობა მხარში ედგა დიასახლისს და ჰშველოდა საღამოს მომზადებას.

20 ივლისისათვის ნებართვა მეტად გვიან მიიღეს და მხოლოთ 2 დღის წინედ გამოუშვეს აფიშები, მაგრამ ამის და მიუხედავად ყველას უკვე ახსოვდა ილიაობა და მისი ფოტოგრაფიული სურათი საკრებულოს დარბაზის აივანზე გამოკიდებული და ხელოვნურად გაშუქებული ყველას აგონებდა 20 ივლისს.

მართლაც ამ საღამოთი იმდენი საზოგადოება მოაწყდა, რომ მალე ბილეთები გამოილია და საზოგადოება იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო. ზოგი სოფლიდამ გადმოსული ეკამათებოდა გამგეთ მიეცათ ადგილი, რადგანაც ამ საღამოს გულისთვის შორი სოფლიდამ მოსულიყო. ამისათვის დარბაზში ზედმეტი ხალხი ბევრი შეიყარა. რომ იტყვიან ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდაო, სწორედ ასე იყო. თვით დარბაზი და აივანი მშვენივრად მოერთოთ მწვანე ტოტებით, გრეხილებით და ილიას სურათ ჩატანებულ ფერადი ფარნებით.

პირველად გაიმართა აპოთეოზი. აი, აიხადა ფარდა. ესტრადაზე გამოჩნდა სულმნათ ილიას სურათი, გარშემო ედგნენ მისი გმირები შესაფერ გრიმებში და ტანისამოსში გამოწყობილნი. სცენის სიღრმეში მოსჩანდა გუნდი, რომელმაც „დიდება“ შეასრულა. საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა პოეტის ხსოვნას.

შემდეგ ითამაშეს ვ. გუნიას ვოდევილი „მონადირე“ ამ პიესის მაგიერ სცენის მოყვარეთ მოამზადეს ილიას „სცენები მომრიგებელ შუამავალთან“ მაგრამ მისი ნებართვა ვერ მიიღეს და იძულებულნი იყვნენ პიესაც შეეცვალათ. მერე გაიმართა საკონცერტო და სალიტერატურო განყოფილება. ბოლოს მოჰყვა ქართული ევროპიული ცეკვა. 3 საათზე გაიშალა გრძელი სუფრა, დაიწყო ნადიმი და მხიარულება, რომელმაც დილამდე გასტანა.

ეს საღამო ცის ქვეშ უნდა გაემართა გამგეობას, მაგრამ ავდრისა შეეშინდა. მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მისი უფასოდ გამეორება მდაბიო ხალხისათვის რაიც ძრიელ საჭირო და სასარგებლოა რომ სწორედ მან გაიცნოს ილია, ვინც არ იცნობს. თუმცა წელს წ. კ. გამგეობასაც ეს აზრი დაებადა, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო, ვერ განახორციელა. **დავიწყებული.**

# იაკობ გოგებაშვილის ფონდი

დღევანდლ. იყო შემოს. ჩვენ რედაქციაში . . . . . . 696.69

შემოვიდა კიდევ:

დ. სურამში შეგროვილი კ. რ. გაგუასაგან . . . . . . 6.—

გაგრაში შეგრ. ი. ა. დოლიძისაგან . . . . . . . 36.65

ახალციხეში ექიმ ი. გ. ასათიანისაგან . . . . . . . 3.—

ძველ სენაკის საბლაღოჩინო კრებაზე შეგრ. მღ. კალანდარაშვილის მიერ . . . . . 10.—

ტფ. ნოქართა შორის შეგრ. რ. ჯიბლაძის მიერ . . . . 8.55

ს. კავთისხევში შეგრ. ნიკ. ინდუაშვილის მიერ . . . . 12.—

ს. ალავერდში შეგრ. გრ. ი. კადიეიშვილის მიერ . . . 21.70

სულ . 794.59

# ალბანეთის აჯანყება

**სტამბოლი.** მთავრობის განცხადებაში სწერია, რომ ალბანელების იმ მეთაურებმა, რომელთაც მიიღეს მთავრობის პირობები, ითხოვეს სახლში დაბრუნებისთვის დახმარება. ამისთვის იმათ და მათ ჯარს დაეთმო უფასოდ ორთქლის მატარებლები, ყველანი სახლში დაბრუნდნენ, უსკიუბი დასტოვეს და აჯანყებაც ჩაქრაო.

მემკვიდრე პრინცი იუსუფ-იზედინი სენატორ აზარიანთან ერთად ვენისკენ გაემგზავრა.

**სოფია.** პრესა დიდის ეჭვით ეპყრობა გრაფ ბერტხოლდის წინადადებას და არა ჰგონია ოსმალეთში ევროპის ჩაურევლად დეცენტრალიზაციის გაყვანის სარგებლობა. პრესას უფრო აწუხებს მაკედონიაში ალბანელების თავისუფალი შემოსევა. გაზ. „მირი“ თავდაჭერილად ხსნის გრაფ ბერტხოლდის წინადადებას და ჰგონია იგი საჭიროა სერიოზულ რეფორმების გასაყვანად ბალკანეთში მშვიდობიანობისთვისაო.

**სტამბოლი.** სენატორი სეიდ-ფაშა დაინიშნა გზათა მინისტრად.

ოტომანის სააგენტო ირწმუნება, ალბანელები დასთანხმდნენ უსკიუბის თავის დანებებასაო.

# მონღოლეთი

**ტროიცკოსავსკი.** დიდი რყევის შემდეგ საიონიონხანმა გადასწყვიტა მივიდეს ურგაში პირველ მინისტრის თანამდებობა მიიღოს.

**კობდო.** ჩინელებისა და მონღოლების რაზმებს შორის შეტაკება მოხდა. უკანასკნელებმა გაიმარჯვეს.

# დეპეშები

(დეპეშანი [illegible])

7 აგვისტო.

**საზღვარგარეთი**

**ბუდაპეშტი.** [illegible] პარტიის წარმომადგენლების თათბირმა ჰუნგრეთში და ხორვატიაში, პარტიების ძველ უთანხმოების მიუხედავათ, გადასწყვიტა ერთად იმოქმედონ ეკლესიის ავტონომიის საკითხში.

**ტოკიო.** დაბეჯითებით იძახიან თავადმა კაცურამ სამუდამოდ დაანება თავი პოლიტიკურ მოღვაწეობასაო. მომავალ კაბინეტის მეთაურად ასახელებენ ტერაუცის.

**ვენა.** იმპერატორმა ფრანც-იოსებმა 10,000 კრონი შესწირა დარდანელში მიწის ძვრისაგან დაღუპულთ.

**სარაგოსა.** გაფიცვა გათავდა. შეთანხმდნენ ცხრა საათის სამუშაო დღეზე.

**პარიზი.** მომეტებული ნაწილი საგენერალო საბჭოსი კმაყოფილია რუსეთში პუანკარეს ჩინებულად მიღებით და საფრანგეთისადმი თანაგრძნობით.

**ცეტინიე.** ოსმალეთ-ჩერნოგორელების შეტაკების გამო მოწვეულმა მიტინგმა პერანში გამოაცხადა თავისი გულის წყრომა ოსმალეთის სისასტიკეზე. მათ არ შეიბრალეს არც დედაკაცები და არც ყმაწვილები. გამოიტანეს დადგენილება, რომელიც მოიწვევს ჩერნოგორიის მთავრობას დაიცვას ერთ მორწმუნენი. მეფის სასახლის წინ მანიფესტაციებს პოლიციამ ხელი შეუშალა.

**ზაგრები.** ამას წინად თავი მოიკლა სერბია-ხორვატიის პარტიის ჰუნგრეთის სეიმის დეპუტატმა პოპოვიჩმა. მან მთელი თავისი ქონება 200,000 კრონი ბელგრადის აკადემიას დაუტოვა.

**ვაშინგტონი.** ორივე პალატის შემთანხმებელმა კომისიამ გადასწყვიტა გადასდოს 14 მილიონი დოლარი დრედნოუტის ასაგებად.

**ფრენა**

**სევასტოპოლი.** მფრინავები კაპიტანი ვისკუნოვი, პორუჩიკები კუსკოვი და კარამიშევი სიმაგრიდან ავიდნენ. სფეროს ქარმა ზღვისკენ გააქროლა. მათ გადასარჩენად გაიგზავნა ნაღმოსანი. ამაზე ჩამოშვების დროს კუსკოვი ჩავარდა ზღვაში და დაირჩო მასთან მისაშველებლად წასულ მატროსთან ერთად. დანარჩენები გადარჩნენ.

**ფრანცესბადი.** მფრინავ სლავოროსოვს რამდენჯერმე აფრენის შემდეგ 1,400 მეტრის სიმაღლეზე გაუფუჭდა მოტორი. ძლიერ დაქანებული, მაგრამ კოხტა ფრენით ჩამოეშვა. აპარატი ცოტათი დაუზიანდა.

---

**ეკდალი.** ჰო... გარეული... ნამდვილი გარეული იხვია, ჩემო მეგობარო, ჩვენი გარეული იხვი!

**ედვიგი.** ე. ი. ჩემი გარეული იხვი, იმიტომ რომ ეგ ჩემი საკუთრებაა.

**გრეგ.** მერე აქ როგორა სძლებს და სუქდება კიდეცა?

**ეკდ.** რასაკვირველია, წყლით სავსე ვარცლი უდგა და ჰყუმპალაობს.

**ჰიალ.** წყალს ყოველ დღე უცვლიან.

**გინა.** (ჰიალმარს) სახლი გაცივდა ძვირფასო ეკდალ.

**ეკდ.** ჰმ... აბა, წავიდეთ, და არცა ღირს ამათი ძილის დაფრთხობა, მიშველე, ედვიგ. (კარებს ჩახურავენ) კვლავ უფრო კარგად გაჩვენებთ, როდისმე. (ჯდება სავარძელში) დიახ, შემიძლიან გითხრათ, საინტერესო ფრინველია გარეული იხვი.

**გრეგ.** მერე, როგორ დაიჭირეთ, ლეიტენანტო ეკდალ?

**ეკდ.** ქალაქში სცხოვრობს ერთი კაცი, რომლისაგანაც სხვათა შორის ამ იხვითაცა ვართ დავალებული.

**გრეგ.** (შეკრთება) ეგ მამაჩემი ხომ არ არის?

**ეკდ.** დიახ, მამათქვენია... ჰმ!

**ჰიალმ.** როგორ გამოიცანი, გრეგერს?

**გრეგ.** შენ თითონ არ მითხარი, ბევრი რამით ვართ დავალებული მამიშენისაგანაო... მე ვიფიქრე, რომ გარეული იხვიც...

**გინა.** ეგ მაინც ბ-ნ ვერლესაგან არ მიგვიღია.

**ეკდ.** ამის და მიუხედავად გარეული იხვით ბ-ნ ვერლესაგანა ვართ დავალიანებული, გინა. (გრეგერსს) იცით, მამათქვენი ნავითა სეირნობდა და თოფი ესროლა ამ იხვს, მაგრამ რადგანაც ის ეხლა ცოტა ბუნდადა ხედავს, ამიტომ მხოლოდ დასჭრა ისა...

**გრეგ.** ჰოო! რამდენიმე საფანტი მოხვდა?!.

**ჰიალ.** ჰო, სულ ორი-სამი საფანტი.

**ეკდ.** და ისიც სწორედ ფრთის ძირში, ასე რომ ფრენა აღარ შეეძლო,

**გრეგ.** და, რასაკვირველია, ჩაიყურყუმალავა ტბის ძირში.

**ეკდ.** (ნამძინარევი ხმით). ვიცი... ყოველთვის ეგრე იციან... გარეული იხვები, ჩაიყურყუმალავებენ ძირში, სიღრმეში, ჩემო მეგობარო, ჩაეხვევიან ბალახში, ზღვის ძირის მცენარეულობაში და ზემოდ იქიდან თავის დღეში ვეღარ ამოდიან.

**გრეგ.** თქვენი იხვი კი ამოსულა ზემოდ, ლეიტენანტო ეკდალ.

**ეკდ.** მამა თქვენსა ჰყავს ერთი კარგი ძაღლი—იმან ამოიყვანა.

**გრეგ.** (ჰიალმარს) და მერე თქვენ მოგცეს?

**ჰიალ.** არა. ჯერ მამაშენთან მიიყვანეს სახლში, მაგრამ მერე საქმე ცუდად დატრიალდა და პეტერსენს უბრძანეს მოეკლა.

**ეკდ.** (ძილში) ჰმ... ჰმ... პეტერსენი... სულელია...

**ჰიალ.** (ხმადაბლა). მამაჩემი იცნობს პეტერსენს. ეს რომ გაიგო, სთხოვა მას იხვი, და პეტერსენმაც მას აჩუქა.

**გრეგ.** მერე, თქვენს მოჩარდახებულში კარგადა სცხოვრობს?

**ჰიალ.** თითქმის დაუჯერებელია. ისე კარგად. გასუქდა კიდეც. მართალია, დიდიხანია აქ არის და თავისი თავისუფალი ცხოვრება დაავიწყდა კიდეც, ხოლო უმთავრესიც ეს არის.

**გრეგ.** ჰო, მაგაში მართალი ხარ, ჰიალმარ. მხოლოდ არას დროს არ დაანახო ლურჯი ცის კამარა და კამკამა ზღვის ზედაპირი.—ახლა კი წავალ, თორემ მგონი მამაშენს კიდეც დაეძინა.

**ჰიალმ.** ეჰ, მაგისთვის რა...

**გრეგ.** ჰო, მართლა, ოთახს რომ აქირავებთ, თავისუფალია?

**ჰიალმ.** ჰო, რა იყო? ხომ არავინ გეგულება...

**გრეგ.** შეიძლება მე დავდგე იმ ოთახში?

**ჰიალმ.** შენა?

**გინა.** როგორ, თქვენა ბ-ნო ვერლე?

**გრეგ.** თუ თქვენ თანახმა ხართ მომცეთ ის ოთახი, ხვალ დილითვე გადმოვალ.

**ჰიალმ.** დიდის სიამოვნებით.

**გინა.** ის ოთახი, ბ-ნო ვერლე, თქვენ სრულებითაც არ გამოგადგებათ.

**ჰიალმ.** შენ რა იცი, გინა?

**გინა.** იმითი ვიცი, რომ ოთახი პატარა და ბნელია.

**გრეგ.** ეგ არც ისე საჭიროა, ქ-ნო ეკდალ.

**ჰიალმ.** ჩემი აზრით კი ის ძლიერ კარგი ოთახია... და არც მოუწყობელია.

**გინა.** კარგი, მაგრამ ორი ქვემოთა მდგმური?

**გრეგ.** ვინ არიან?

**გინა.** ერთი იმათგანი მასწავლებელია.

**ჰიალმ.** კანდიდატი მოლვიკი.

**გინა.** ერთიც ექიმია, გვარად რელლინგი.

**გრეგ.** რელლინგი?! ამას ცოტათი ვიცნობ; ერთს დროს ის მთებში ექიმობდა.

**გინა.** ორთავე საშინელი მოქეიფე ხალხია. საღამოთი წავლენ და ხშირად სახლში შუაღამისას, ან გათენებისას ბრუნდებიან, და ამასთანავე...

**გრეგერ.** ეჰ, მაგას ჩქარა შევეჩვევი. დარწმუნებული ვარ, მეც გარეული იხვისავით მომივა.

**გინა.** ჰმ! ყოველ შემთხვევაში აჩქარება საჭირო არ არის.

**გრეგერ.** თქვენ მგონი ჩემი სახლში შეშვება არა გსურთ, ქ-ნო ეკდალ.

**გინა.** ღმერთმა დამიფაროს, რასა ბრძანებთ.

**ჰიალმ.** მართლაც ეს საკვირველია შენგან, გინა. (გრეგერსს) მაშ შენ ჯერ-ჯერობით ქალაქში აპირობ დარჩენას?

**გრეგერ.** (პალტოს იცვამს) ჰო, ვფიქრობ ეხლა აქ დავრჩე.

**ჰიალმ.** მხოლოდ არა მამის სახლში? რა უნდა გააკეთო აქა?

**გრეგერ.** კარგი იქნება, მე თითონ რომ ვიცოდე ეგა, მაგრამ როცა უბედურება გაქვს, იწოდებოდე გრეგერსად და ამასთანავე ვერლედ... გაგიგონია როდისმე განა ამაზედ საზიზღარი რამ?

**ჰიალ.** ჩემის აზრით, ეს არც ეგრე ცუდია.

**გრეგერ.** ფუ! მე კი სიამოვნებით მივაფურთხებდი, მას, ვინც ამ სახელსატარებს. მაგრამ რა კი უბედურია კაცი იმით, რომ იწოდება ვერლედ, როგორც მე...

**ჰიალმ.** (სიცილით) ჰა—ჰა! მაშ შენ რომ გრეგერს ვერლე არ იყო, რა გინდა იყო?

**გრეგერ.** ეგ რომ ჩემ ხელთ იყოს, მე ვინდომებდი კარგი ძაღლი ვაყო.

**გინა.** ძაღლი?

**ედვ.** (უნებურად). არა! რას ამბობთ!

**გრეგ.** დიაღ, დიაღ. შესამჩნევი მარდი ძაღლი. ისეთი, რომელიც ჩასდევს გარეულ იხვებს ტბის ძირში, როცა ისინი იფლობიან ზღვის ბალახებსა და ლამში.

**ჰიალ.** სწორედ გითხრა, გრეგერს, ვერ გამიგია, რას ამბობ.

**გრეგ.** განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც აქ არაფერსა აქვს. მაშ. ეგრე. ხვალ დილით გადმოვალ, (გინას). თქვენ ჩემთვის ნურაფერზედ ნუ შესწუხდებით, ყველაფერს მე თითონ გავაკეთებ. (ჰიალმარს). დანარჩენზედ ხვალ მოვილაპარაკოთ. ღამე მშვიდობისა, ქ-ნო ეკდალ! (თავს უკრავს ედვიგს). ღამე მშვიდობისა!

**გინა.** ღამე მშვიდობისა, ბ-ნო ვერლე!

**ედვ.** ღამე მშვიდობისა!

**ჰიალ.** (სანთელს ანთებს) დაიცა, სანთელი მოგინათო, თორემ კიბეზედ ებნელება. (გრეგერსი და ჰიალმარი გადიან გარეთა კარით).

**გინა.** (თვალს გაუშტერებს საკერავი მუხლებზედ უდევს). საკვირველია! მე მინდა ძაღლი ვიყოვო!

**ედვ.** იცი, რას გეტყვი, დედა. იმას ამით სულ სხვა რამის თქმა უნდოდა.

**გინა.** ნეტა რა უნდა ეთქვა?

**ედვ.** არ ვიცი, მაგრამ ის კი სულ ისე ლაპარაკობდა, თითქოს რაღაც სხვა აზრი აქვსო.

**გინა.** შენა გგონია? ჰო, მართლაც უცნაურია.

**ჰიალ.** (დაბრუნდება). ლამპა ისევ ანთია. (სანთელს გააქრობს). ახლა კი შეიძლება ცოტა რამეც შევჭამო. (სჭამს ბუტერბროდებს) აბა, აი, ხედავ გინა, ცოტაოდენი გარჯა, და...

**გინა.** ე. ი. როგორ გარჯა?

**ჰიალ.** ყოველ შემთხვევაში კარგია, ოთახი რომ გავაქირავეთ. და მერე ისეთს კაცზე, როგორც გრეგერსია, ჩემი ძველი და საუკეთესო მეგობარი.

**გინა.** ყველაფერი ეგ კარგია, მაგრამ მე კი მაინც არ ვიცი რა გითხრა.

**ედვ.** აი, შენა ნახავ, როგორ ყველაფერი მშვენივრად იქმნება.

**ჰიალ.** შენც რაღაც უცნაური ხარ, ჯერ მხოლოდ იმაზე ფიქრობდი, ოთახი გავაქირავოვო, ახლა კი არ გინდა...

**გინა.** ეჰ, ეკდალ, ეგ რომ სხვა იყვეს ვინმე! რა გგონია, რას იტყვის ვერლე?

**ჰიალ.** განა რა უნდა სთქვას? იმას აქ რა საქმე აქვს.

**გინა.** რასაკვირველია, შენ კარგად გესმის, რომ იმათ შუა კიდევ რაღაც მოხდა, თუ კი შვილი გამოიქცა მამის სახლიდან. რასა ფიქრობ, როგორი დამოკიდებულება აქვთ ეხლა ერთმანეთთან იმათ?

**ჰიალ.** მართალია, მაგრამ...

**გინა.** ვერლე კიდევ იფიქრებს ახლა, რომ შენც აქ ურევიხარ...

**ჰიალ.** დაე, იფიქროს, რაც სურდეს. ვერლემ ბევრი სიკეთე მიყო, და ღმერთმა იცის, რომ ამასა ვგრძნობ, მაგრამ ეს ხომ იმას არა ნიშნავს, რომ ყოველთვის იმისგან უნდა დამოკიდებული ვიყო.

**გინა.** ადვილად შესაძლოა, ძვირფასო ეკდალ, ყველა ეს თავს შემოეხვევს ჩვენს მოხუცს, და მაშინ ის დაჰკარგავს იმ მცირე შემოსავალსაც, რომელსაც ეხლა გრობერგი აძლევს მას გადასაწერებში.

**ჰიალმ.** კინაღამ ვსთქვი: დაე, აგრე იყოს მეთქი. განა დამამცირებელი არ არის ჩემთვის, როცა ვხედავ, რომ ჩემს მოხუცს მამას მოწყალებას აძლევენ. მაგრამ ეხლა კი იმედი მაქვს ჩქარა დადგება სხვა დრო. (აიღებს კიდევ ერთს ბუტერბროტს). მე მაქვს ცხოვრების მიზანი და კიდეც მივაღწევ მასა.

**ედვ.** ჰო, მამა, ჰო.

**გინა.** ჩუმად, მოხუცი არ გამოაღვიძოთ.

**ჰიალმ.** (ხმას უდაბლებს). ვიმეორებ, ცხოვრებაში მაქვს მიზანი და კიდეც მივაღწევ მასა. კარგია, რომ ოთახი გავაქირავეთ. ეხლა უფრო დამოუკიდებელი ვიქმნები. და ეს კი აუცილებელია იმ ადამიანისათვის, რომელსაც ცხოვრებაში გარკვეული მიზანი აქვს. (შეჰხედავს სავარძელში მძინარე მოხუც ეკდალს. გრძნობით). საბრალო, ჭაღარა მოხუცო! დაეყრდენ შენს ჰიალმარს. იმას განიერი მხარბეჭი აქვს, და ყოველ შემთხვევაში ღონიერი. დადგება ოდესმე სამური დღე, გამოიღვიძებ და... (გინას) იქნებ, შენ არა გჯერა ესა?

**გინა.** (ადგება) რასაკვირველია, მჯერა, მაგრამ ჯერ ეს წაიყვანე, ლოგინში დააწვინე.

**ჰიალმ**. მოდი. (ორივენი მოეხვევიან მოხუცს ეკდალს).

**ფარდა.**

(შემდეგი იქნება)

**გ. ნამორაძე.**

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ ფელეტონში შეცდომით არის დასტამბული **გინას** სიტყვები. **სწერია** „ჰო, იმათ ეხლა სახლი არისტოკრატულ ფეხზედა აქვთ დაყენებული“. **უნდა** იყოს: „ჰო, ეხლა იმათი სახლი არისტოკრატიულ გემოვნებაზეა დაყენებული.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** ტელეგრაფის მთავარი სამმართველო იტყობინება, მიწის ძვრისაგან გაფუჭდა ტელეგრაფის მავთულები ეკატერინა-ლარისსასა და ბევრ სხვა გზებზე, რის გამოც დეპეშები იგვიანებსო.

**ვარშავა.** პოვონზსკაში მე-15 საპიორის ბატალიონის ჯარის კაცი, რომელსაც სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა ჰქონდა გადაწყვეტილი, შევარდა პოლკის უფროს თავად თუმანიშვილის სახლში, ტყვიით მძიმედ დასჭრა თავადი, მისი ცოლი და მისი მოსამსახურე ჯარის კაცი. ბოროტმომქმედი მოჰკლა ყარაულმა.

**სევასტოპოლი.** სამხედრო-საზღვაო სასამართლოს მიერ სიკვდილ მისჯილ მატროსებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მცველებზე თავდასხმაში და მკვლელობაში, გვარად ბაბიჩევსა და მასლენიკოვს სიკვდილით დასჯა შეუცვალეს უვადო კატორღად.

**პრაგა.** მიტინგზე ნაციონალ-სოციალისტებმა პროტესტი განაცხადეს ხორვატიაში აბსოლიუტურ რეჟიმისა და იუკიჩის საქმის განაჩენის გამო. გაიმართა დემონსტრაციები, აafრიალეს შავი ბაირაღი. რამდენიმე დააპატიმრეს.

**უფა.** გენერალ-მაიორ შეიხალის სახლში მოჰკლეს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სირტლანოვი. მკვლელი დაუტ შეიხალის ნათესავია. მკვლელობის მიზეზი არ იციან.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ხელმეორედ სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩეულ იქმნა ერობისგან ალექსი ნეიდგარტი.

**სმოლენსკი.** სახელმწიფო საბჭოს წევრად ერობისგან ხელმეორედ არჩეულ იქმნა თავად-აზნაურების წინამძღოლი ენგელგარდტი.

## წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფე,
ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ საპასუხო წერილს.

„სახალხო გაზეთის" მე-660 ნომერში დასტამბული იყო წერილი ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ხონის განყოფილების თექვსმეტ წევრის წლიური საზოგადო კრებისა გამო, რომელიც მოხდა, ამა წლის 8 ივლისსა. როგორც თვით რედაქცია ამოწმებს, ამ თექვსმეტ წევრისაგან კრებას დასწრებია მხოლოდ სამი.

როდესაც წაკითხულ იქმნა კანდიდატების სია, და გახაცხადეს ერთხმად აერჩიათ დასახელებულნი პირნი, თავმჯდომარე შეეკითხა კრებას: ყველანი თანახმანი ხართ თუ არა აირჩიოთ ხსენებულნი კანდიდატებიო? ყველამ თანხმობა გამოაცხადა და მათ შორის ზემორე ხსენებულმა სამმა პირმაც, რომელთაც სრულიად არა უთქვამთ-რა წინააღმდეგ. თუ სხვა სია ჰქონდათ ამ პირთ, რატომ არ წარმოუდგინეს თავმჯდომარეს, რომ გამოეცხადებინა კრებისათვის!

ოქმის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოების კრებებზე იწერება მდივნის მიერ მხოლოდ დადგენილება კრებისა, მასალა ოქმისათვის, და თვით ოქმს მას უკან შეადგენენ ხოლმე. მდივნის მიერ შედგენილი ოქმი წაიკითხება გამგეობაში და თუ საჭიროა, სინამდვილის მიხედვით, შესწორდება, მერე ჩაიწერება ოქმის წიგნში და ხელიც მოეწერება გამგეობის მიერ.

თუმცა 8 ივლისის საზოგადო კრებამ ერთხმად აირჩია ახალი გამგეობის წევრები, მაგრამ ვინაიდან არა ფარული არჩევა ეწინააღმდეგება ფორმალურს მოთხოვნილებას წესდებისას, გამგეობა ვალად სთვლის მოიწვიოს ახლო მომავალში საზოგადო კრება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ხელ-ახლა ასარჩევად.

თავმჯდომარე **ა. ჭიჭინაძე.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში: სურამიდან გამოგზავნილ სამძიმრის დეპეშიდან, რომელიც დაიბეჭდა თქვენის გაზეთის № 668-ში, გამოტოვებულია ქ-ნ მარიამ ნათაძისა, რომელმაც სხვებთან ერთად ტელეგრამას ხელი მოაწერა.

**თ. მთავრიშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო! გახლებთ რა სამ მანეთს უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციას, რათა მან უგზავნოს ერთის წლის განმავლობაში „ნაკადულის" გამოცემა (მცირე წლოვანთათვის( სოფელ ანაგის ერთ ერთ სკოლას. იმ გვირგვინის ნაცვლად, რომელიც მე უნდა მიმეძღვნა განსვენებულ ჩემის მეგობრის დავით დოდაშვილის ცხედრისთვის. რადგან განსვენებულის წრფელი სურვილი იყო სოფლად ცოდნა-სწავლის გავრცელებისა ვიდრე თვალისთვის წუთიერი, უნაყოფო და ფუქსავატი სიამოვნება, გვირგვინები და სხვა. სიცოცხლეში განსვენებულს ჰსურდა თავის საკმაოდ დიდი შეძლებიდან დაეტოვებინა წვლილი სწავლა-ცოდნის გასაძლიერებლად ქართველთა შორის. არ ვიცი მოიყვანა სისრულეში ეს ფრიად კეთილი განძრახვა თუ არა.

**ვასილ ნაცვლიშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ ამასთანავე წარმოდგენილი თორმეტი მანეთი, შეკრებილი სოფ. კავთისხევში, გადასცეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას **იაკობ გოგებაშვილის** ფონდის გასაძლიერებლად. შემომწირველთა სია.

მიხეილ კანდელაკი 50 კ. სონა კანდელაკი 50 კ. შაქრო ხოკერაშვილი 21 კაპ. სტეფანე აბულაძე 10 კაპ. იაგორ პაპიაშვილი 10 კაპ. ვასო შაყულაშვილი, 10 კაპ. საყვარელიძე 1 მან. პავლე მესხიშვილი 22 კ. მარიამ დ. ჯაჯანაშვილი 10 კ. დავით ჩივაძე 1 მ. გიორგი ჩივაძე 2 მ. ივ. ჩივაძე 1 მან. ილა შაყულაშვილი 10 კ. ეკატირინე ცალქანამიძისა 15 კ. დავით ხიზნაშვილი 30 კაპ. თამარო კანდელაკი 10 კ. სულიკო კანდელაკი 10 კ. ვანო შაყულაშვილი 35 კ., ვ. ნაცვლიშვილი 30 კაპ., გიორგი ჩუბინიძე 20 კ. გიგლო თურქესტანიშვილი 20 კ. მარიამ ჯაჯანაშვილისა 40 კ. საშა თვალიაშვილი 50 კ. სოლომონ კორინთელი 1 მ. ვასო კანდელაკი 50 კ. დავით კორინთელი 1 მან. ნ. ინდუაშვილი 77 კაპ.

სულ 12 მ.

**ნ. ინდუაშვილი.**

ვთხოვ პატივცემულ „სახალხო გაზეთის" რედაქციას შემდეგი წერილი დამისტამბოს?

უღრმესს მადლობას მოვახსენებ ქალბატონ სოფიო სვიმონიშვილს, რომელმაც ქ. შ. წ. კ. გ. ს. თელავის განყოფილების სკოლას შემოსწირა „ჭრა-კერვის თვით-მასწავლებელი" თავისივე შედგენილი, ღირებული 3 მანეთად და ბატონ ვასილ ბესარიონის ძეს კახიძეს, რომელმაც იმავე სკოლას შემოსწირა 1909 წლის ჟურნალ „განათლების" ერთი ნომერი, 1911 წლის იმავე ჟურნალის ცხრა ნომერი, 1910 წ. იმავე ჟურნალის 10 ნომერი, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრების" 7 ნომერი, ჟურნალ „ერის" ერთი ნომერი და ჟურნალ „ამომავალი მზის" პირველი ნომერი.

ქ. შ. წ. კ. გ. ს, თელავის განყოფილების სკოლის მასწავლებელი **ნინო გოგინაშვილისა.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 8 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საagარაკო** მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ... ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საagარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საag.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

### გემების მიმოსვლა საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შევლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური"**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახანისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობით და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს, 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 1 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**" ტელ, 682.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71 |

## განცხადებანი


ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606" —11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგასართვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი, ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი სახავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საზებიო დ. ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1078.112)

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარებ. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც,

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. (100—1231—28)

დაბა სამტრედია
ა ხ ა ლ ი ა გ უ რ ხ ა ნ ა.

ვამზადებთ დიდ ზომის აგურებს
**6 X 3 X 1½ ვერშოკ. ზომიანს.**

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ კარგი ღირსებ სა ზომიერ ფასებში. ყოველივე დაკვეთა სისწრაფით სრულდება.

პატივისცემით **პორფირე ჭეიშვილი.**

(თ. 1338.22)

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი" „ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. „ 85 კ.

ხელოვნურად შეზავებული
სამკურნალო და ხილეულოვის
წ ყ ა ლ ი
მიტროფანე ლაღიძე და ამხ. სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 6.**

(25.1407.4)

საზელმწიფო სათათბიროს არჩევნები

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ მე-4 სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო ს ი ე ბ ი ტფილისისა და ბორჩალოს მაზრის ამომრჩეველთა კრებისა, რუსების და საზოგადო კურიებისა, აგვისტოს 8-დან გამოფენილია გამგეობის დარბაზში, შესაფერის დოკუმენტებით, დაინტერესებულ პირთა განსახილველად, ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებშიაც, დილის 10—2 ს ათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

სახელმწ. სათათბიროს საარჩევნო დებულებათა მე-73 და მე-165 მუხლის ძალით, ორის კვირის განმავლობაში, ე. ი. 22 აგვისტომდე (ამ დღიანად), დაინტერესებულ პირთ შეუძლიანთ შეიტანონ საჩივარი სათათბიროს საარჩევნო კომისიაში ტფილისის მაზრისა და აგრეთვე განცხადებანი სიების ნაკლისა და უსწორობის თაობაზე. (2.1428.2)

ბაღი „ედემი" ვერაზე

მომჩქეფარე, მოჩქრიალე ჩანჩქერებისა და ფოთოლთა შრიალის გამო „ედემის ბაღში მუდამ გრილა და ჰერიც სუფთაა. უკრავს უნგრეთელ ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი ვაიერის ლოტბარობით ნაშუადღევის 3—7 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე. ბუფეტში ყოველნაირი სასმელი იშოვება. საჭმელები აზიური და ევროპიული. შეიძლება სადილებისა და ვახშმების შეკვეთა. მუდამ იშოვება „ცოცხალი" თევზი. სანოვაგის სისაღეში თავდებნი ვართ. **ტელეფ. № 296.**

სრულის პატივისცემით
**კ. ბაქრაძე.**

(25.1344.20)

ე. ა. ცატუროვის
დეპოში

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი,
ახალ სახიანი
რუსეთისა და საზღვარგარეთის
საუკეთესო ქარხნებისა.

ფ ა ს ე ბ ი 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**

(40—1400—7)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება პროფ. ალ. ხახანაშვილის შემდეგი წიგნები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ქართ. სიტყვიერების ისტორია | 1—25 კ. | О Сванетскихъ рукописяхъ и надписяхъ | 60 „ |
| ბატონ-ყმობა საქართველოში | 50 „ | Правила VI Вселенск. собора | 1 მ. |
| იმერეთის მეფე სოლომონ II | 25 „ | Трапезундская хроника | 1 „ |
| Матеріалы по груз. агіологій | 80 „ | Очерки по груз. культурѣ | 30 კ. |
| Багратъ, Еписк. Тавроменійск. | 1 მ. | О вступленіи на престолъ Императрицы Екатерин. II | 25 „ |
| Древнѣйшіе предѣлы расселенія грузинъ по Малой Азіи | 60 კ. | Политич. и культ. состояніе грузіи съ XIII по XVIII в. | 50 „ |
| Грузинск, дворянск. акты | 60 „ | Аѳонскій списокъ 978 г. грузинской библіи | 40 „ |
| Месхи (этногр. очеркъ) | 60 „ | Къ матеріал. по драмат литературѣ XVIII в. | 20 „ |
| Жизнь и дѣятельность Католикоса грузіи Антонія I | 50 „ | Бальваръ и Іодасафъ, грузин. текстъ по рук. XI—XII в. | 60 „ |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны | 60 „ | | |

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1411.95).

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მემკვიდრეობა", დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

თევზის მრეწველნი
ძმ. ძმველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

ყურადღება!

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საagარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მივიღეთ აგრეთვე
ბოჭკის საუკეთესო
ხ ი ზ ი ლ ა ლ ა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.

(წ.1131.226)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნ ა კ ა დ უ ლ"-ზე

✦ წელიწადი მერვე. ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

24 წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●**
**—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოციშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1393—94 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**


ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა"